

საქართველოს კანონი

საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის  
დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობა – 31 868 კაცი.

მუხლი 2. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს 2004 წლის 29 დეკემბრის საქართველოს კანონი „საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N5, 2005 წლის 18 იანვარი).

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

მონაცემები

საქართველოს სამხედრო ძალების რაოდენობის  
შესახებ 2006 წელს

სამინისტროს დასახელება	პირადი შემადგენლობის რაოდენობა 2006 წელს
საქართველოს სამხედრო ძალებში სულ:	31 868
მათ შორის:	
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	26 000
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტი	5 868